

სსიპ კოლეჯში „აისი“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

სსიპ კოლეჯში „აისი“ ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმები საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების, ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია და გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად.

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან (სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერები, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, იურისტი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, სასწავლო პროცესის მენეჯერების ასისტენტები) და პროგრამების ხელმძღვანელებთან / პროგრამის განმახორციელებლებთან კოორდინირებული თანამშრომლობით. კონტოლს დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ხარისხზე ახორციელებს კოლეჯის დირექტორი.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე“ მოდელზე, რომლის შესაბამისად ხარისხის მართვის სამსახური გეგმავს თავის საქმიანობას, განსაზღვრავს კოლეჯის „აისი“ საქმიანობის შესამოწმებელ ასპექტებს, შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს, ჩასატარებელი შემოწმების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს შემოწმებლ(ებ)ის კომპეტენციებს, უზრუნველყოფს შემოწმების ჩატარებას შემუშავებული გეგმისა და კრიტერიუმების შესაბამისად, აანალიზებს მიღებულ შედეგებს, განსაზღვრავს ხარვეზების წარმოქმნის მიზეზებს და აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. განსაზღვრავს გამოვლენილი სუსტი მხარეების სრულყოფისა და ძლიერი მხარეების შენარჩუნების მექანიზმებს. კონტროლს უწევს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს.

სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ხორციელდება შემდეგი აქტივობებით:

1. დაგეგმე

1.1. დაწესებულების სამოქმედო გეგმაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებები, შესრულების შეფასების მტკიცებულებები და განმახორციელებლები;

1.2. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და სწავლების დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების შემუშავების წესის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები იმგვარადაა შემუშავებული, რომ იძლევა პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესაძლებლობას;

1.3. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების სასწავლო გეგმების საფუძველზე შემუშავებული კალენდარული გეგმების შესაბამისად, რომელსაც ითანხმებს ხარისხის მართვის მენეჯერი;

1.4. პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება (საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის საკითხებზე, შეფასების

ინსტრუმენტების შემუშავება) ხორციელდება კოლეჯის შიდა რესურსითა და მაკონტროლებელ ორგანოთა მიერ ორგანიზებულში მათი მაქსიმალური ჩართულობით;

1.5.სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, ინერგება ახალი მექანიზმები; შშმ/სსსმ პირებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი არის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი;

1.6.პარტნიორ დამსაქმებლებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და პრაქტიკის მენეჯერი , რომლებიც კორდინირებულად და სისტემატიურად ახორციელებენ დამსაქმებლების საჭიროებების კვლევას და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას კარიერული განვითარების კუთხით;

2. განახორციელე - სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობებით;

2.1.შიდა მონიტორინგის ჯგუფის გეგმიური დასწრებით საგაკვეთილო პროცესზე, რომელიც ახდენს შედეგის ანალიზს გაკვეთილზე დასწრების კითხვარის გამოყენებით, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერების ასისტენტები სისტემატურად ამოწმებენ სტუდენტთა დასწრებას და მასწავლებელთა აქტივობებს, რაც შემდგომში აისახება შესაბამის ოქმებში;

2.2.პროგრამის განმახორციელებელთა გამოკითხვა სასწავლო მოდულის მიმდინარეობის თაობაზე სპეციალური კითხვარის გამოყენებით სასწავლო მოდულების დასრულების შემდეგ;

2.3.სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება;

2.4.სწავლებისა და შეფასების მაღალი სტანდარტებით განხორციელების მიზნით, სწავლის შედეგების შესაბამისი სანდო, ვალიდური, რელევანტური შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და მისი შეთანხმება ხარისხის მართვის მენეჯერთან;

2.5.პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად პროგრამების განხორციელების მონიტორინგის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება.

2.6.სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა სასწავლო პროცესის მენეჯერთან და ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან ერთად სხვადასხვა ტიპის აქტივობებით;

2.7.პრაქტიკული სწავლების მაღალ დონეზე ორგანიზება სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით;

2.8.პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების, განსაკუთრებით წარმატებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა კარიერიერისა და პროფორიენტაციის დაგეგმვის მენეჯერის ჩართულობით.

3. შემოწმება.

შემოწმების/შეფასების პროცესი მოიცავს მხარდაჭერის ჯგუფის გამართული მუშაობის მიზნით შესაბამისი კოლეჯის სტრუქტურული ერთეულებიდან აუცილებელი ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფას და მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის კონტროლს, სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემოწმდება: საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი; აკადემიური/მოწვეული პერსონალი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში და სხვ.

3.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას შემოწმდება: შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯის მისიას; ადეკვატური მიზნების და შედეგების მიღწევაა დასახული; შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს, კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრულ

კომპეტენციებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; უზრუნველყოფს სწავლების ფორმატი და სწავლების მეთოდები დასახული მიზნების მიღწევას; შეესაბამება სტუდენტთა მიღწევების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები კანონმდებლობით დადგენილ წესს; რაციონალურადაა დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების პროცესი; უზრუნველყოფილია პროგრამა მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსებით და სხვ.

3.2. სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტების შეფასებისას შემოწმდება: რაციონალურადაა განაწილებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები სასწავლო კურსის კრედიტების ფარგლებში; ადეკვატურადაა შერჩეული სწავლების მეთოდები და ფორმატი; თანხვედრაშია სწავლის მიზნები, სასწავლო კურსის შინაარსი და მისაღწევი შედეგები; შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსი და მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა; მრავალკომპონენტური და გამჭვირვალეა სტუდენტის მიღწევათა შეფასება; შესაძლებელია სასწავლო კურსის მიზნებისა და სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად შესაბამისი კომპეტენციების მიღწევა არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით და სხვ.

3.3. სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობის და ხარისხის შეფასებისას შემოწმდება:

შეესაბამება რეალურად მიმდინარე სასწავლო პროცესი სასწავლო კურსებით განსაზღვრულ ფორმატს და პირობებს; პასუხისმგებლობით ეკიდება აკადემიური/მოწვეული პერსონალი დაკისრებულ ვალდებულებებს; უზრუნველყოფილია სტუდენტთა დახმარების და მხარდაჭერის სერვისი; უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის ხარისხი და საგანმანათლებლო პროგრამების ადეკვატური პირობები და სხვ. ამ მიმართულებით, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებულია:

- პროგრამის შეფასების კითხვარი
- სტუდენტის კმაყოფილების კითხვარი
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კითხვარი
- დამსაქმებლის კმაყოფილების კითხვარი
- დამსაქმებლის საჭიროებათა კვლევის კითხვარი
- მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარი
- მასწავლებლის კმაყოფილების კითხვარი
- მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი
- მოდულური პროგრამების კითხვარი მასწავლებლებისთვის
- საგაკვეთილო პროცესზე დასწრების აქტი

საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობის უზრუნველყოფის მიზნით მოხდება საგანმანათლებლო პროგრამების სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა და საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის პროცესში კოლეჯის სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და პოტენციური დამსაქმებლების ჩართვა (შემუშავებულია პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვის ანკეტები მათი აზრისა და კურსდამთავრებულების პრიორიტეტული კომპეტენციების შესწავლის მიზნით), რომლებიც გადაეცემა დირექციას გადაწყვეტილების მიღება-განხორციელების მიზნით.

3.3. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის სასწავლო პროცესში გამოყენების შიდა შემოწმებისას ხდება მისი შედარება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან. მატერიალური რესურსი უნდა იძლეოდეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას და უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის, მოწვეული სპეციალისტებისთვის და მასწავლებლებისთვის. შემოწმებას ექვემდებარება სასწავლო ფართი (აუდიტორიები, ბიბლიოთეკის სამკითხველო

დარბაზი და სხვ.) და შესაბამისი ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (შევსება-განახლება, სასწავლო კურსების სილაბუსებში/მოდულებში მითითებულ ლიტერატურასთან შესაბამისობა და სხვ.), კომპიუტერული ტექნიკა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერნეტი და სხვ.), ვებგვერდი (უნდა ასრულებდეს საკომუნიკაციო-საინფორმაციო ფუნქციას და ასახავდეს აქტუალურ ინფორმაციას და სხვ.). შემოწმების შედეგების ანალიზი დასკვნის სახით ეცნობა დირექციას.

3.4. ადამიანური რესურსების შეფასებისას მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების და მასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამის (სასწავლო კურსის) სპეციფიკის შესაბამისი გამოცდილების არსებობა. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირს უნდა შეეძლოს:

o სასწავლო პროცესის გაძლოლა;

o სტუდენტებთან საქმიანი და სამართლიანი ურთიერთობების დამყარება;

o სტუდენტების მიღწევების ობიექტური შეფასება გამჭვირვალე და სამართლიანი მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით;

o სტუდენტების მიღწეული შედეგების გაუმჯობესების ხელშეწყობა და კონსულტაციების მეშვეობით სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა;

o სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის ხელშეწყობა;

o სასწავლო კურსის მოდულების შემუშავება;

o კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება

o საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის ლოგიკური კავშირისა და მათი შესწავლის თანმიმდევრობის გააზრება

o სასწავლო კურსის კრედიტების ფარგლებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ოპტიმალური განაწილება;

o სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსის და სწავლის შედეგების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაცნობიერება;

o სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა;

o სასწავლო კურსთან დაკავშირებულ სფეროში მიმდინარე ცვლილებების, სიახლეებისა და ტენდენციების ცოდნა და სტუდენტებისთვის მიწოდება;

o შესასწავლი მასალის გადაცემისა და სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

o თანამედროვე და სასწავლო კურსის შინაარსის ადეკვატური ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა და მოდულებში მითითება.

3.5. სამსახური უზრუნველყოფს შემოწმების თანამიმდევრობის განსაზღვრას, შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის განსაზღვრას;

3.6. სამსახური უზრუნველყოფს შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის ადეკვატური შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას და შემუშავებას;

3.7. სამსახური უზრუნველყოფს შეფასების პროცედურის, შეფასებისა და შედეგების ანალიზის ფორმის შემუშავებას, შემფასებლ(ებ)ის კომპეტენციების განსაზღვრას შესაფასებელი ობიექტის შესაბამისად.

3.8. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გამხორციელების შეფასების სისტემის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად

1. პროგრამის მიმდინარეობისას

2. პროგრამის დასრულების შემდეგ

3.9 ხარისხის სამსახური სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებს სასწავლო პროგრამების მოდულების შეფასების (შემოწმების) უნიფიცირებულ ფორმასა და შეფასების კრიტერიუმებს. აღნიშნული ფორმის მიხედვით ახდენს სწავლის შედეგების

დადასტურების მტკიცებულებების შემოწმებას.

3.10. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინსტრუქცია.

4. განავითარე - ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და წარმოადგენს რეკომენდაციებს ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

4.1 ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები მასწავლებლებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით (ხარისხის მართვის მენეჯერი);

4.2 არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება დადგენილი პროცედურის შესაბამისად (ხარისხის მართვის მენეჯერი);

4.3 გამოკითხვების/კვლევის ანალიზის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის/პროგრამების გასაუმჯობესებლად (ხარისხის მართვის მენეჯერი);

4.4. შიდა შეფასების მექანიზმის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები გასაზღვრულია თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით და სამოქმედო გეგმით;

4.5. საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მიზნით, ცალკეული აქტივობების განსახორციელებლად გამოყენებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარები, მაცადინეობებზე დასწრების ფორმები.

4.6. მაცადინეობებზე დასწრების, კითხვარების ფორმების დამტკიცება არ არის სავალდებულო. ცალკეული კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემუშავდეს ერთჯერადი ტიპის ანკეტა/ კითხვარი და სხვა ფორმა.

4.7. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კითხვარის, კვლევის დოკუმენტის ფორმის ინიცირება შეუძლია კოლეჯის სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს (თანამშრომელს, პროფესიულ სტუდენტს, პარტნიორს, დამსაქმებელს) და ის შეთანხმებული უნდა იყოს ხარისხის მართვის მენეჯერთან.

4.8. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მომზადებული სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები თანხმდება დირექტორთან.

4.9. ანგარიშგება განხორციელებული საქმიანობის შესახებ ხორციელდება დირექტორის წინაშე ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ანგარიშის სახით.

წინამდებარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით და მისი რეალიზებით მიღწეული შედეგები (შემუშავებული რეკომენდაციები, სამოქმედო გეგმები და სხვ.) მიზნად ისახავს არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევას, კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ სრულყოფას და ხელს შეუწყობს კოლეჯში ეფექტური, ადეკვატური და სტრატეგიულად სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება-განხორციელებას.

დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შეიმუშავებს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი

ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის გზით.